# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, გ. მუხრანსკის სახლებ-ში ...

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუ-თაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ... В Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... სტრიქონზე ... კაპ., ... ზე შაური.

თუ ... რედაქცია ... გამოცხადებულ წერილებს ...

განცხადებანი მიიღება ქართულ, რუსულ და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.



ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

პირველის მაისიდამ წლის და-მლევამდინ ღირს ექვსი მანეთი.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.


## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 19 მაისს. „მმართებლობის მოამბეში“ იბეჭდება პროექტი ახალის ვექსილის წესდებისა და იქვე არის გამოცხადებული, რომ ვისაც რაიმე შენიშვნა ექნება, შეუძლიან გამოგზავნოს. ფინანსთ სამინისტროს სთხოვენ, რომ საზღვარ გარეთიდამ შემოტანილ ბამბის საქონელსა და შეღებილ აბრეშუმს ბაჟი მოუმატოს.

მოგილიოვის გუბ. ქალაქი გორკი გადაიწვა.

ველოსფერი მზათაა მოსკოვში გამოფენის გასახსნელად; ხვალ მიტროპოლიტი აკურთხებს გამოფენას. ჯერ გრაფი იგნატიევი დახედავს გამოფენას. გუშინ გამოაცხადეს წესდება გამოფენის მნახველებისათვის. გამოფენა გახსნილი იქნება დილის 7 საათიდამ საღამოს 10 საათამდინ. ნასადილევის 5 საათიდამ ადარავის შეუშვებენ. ხვალ გამოვა პირველი ნომერი გაზეთისა „ნაწარმოებისა და ხელოვნების გამოფენა.“ მოსკოვში დიდი სიმშრალე ჩამოვარდა.

### ურძნის ავად-მყოფობისათვის

ტფილისი, 20 მაისს.

ოც-და-ხუთ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენს ქვეყანაში „ნაცარი“ გაუჩნდა ვაზს და მას შემდეგ ჩვენ ხეირიანი მოსავალი აღარ გვინახავს ღვინისა.

მას აქეთ არის, რომ „საქართველოს მარანი“—კახეთი თან-და-თან ღარიბდება, თან-და-თან ეცემა იქაურ ხალხის მდგომარეობა.

ეს ავად-მყოფობა ვაზისა ევროპის განათლებულ ქვეყნებსაც ეწვია, მაგრამ იქ დიდი ხანია მოიგონეს საშუალება და ამის წყალობით იქაურ მემამულეებს ეს ავად-მყოფობა იმდენ ზარალს ვერ აძლევს, რამდენსაც ჩვენ, რომელთაც არ, ვიცით-რა მეურნეობისა, თვალ-ყურს არ ვადევნებთ იმას თუ ან რას იგონებენ ახალ განათლებულს ქვეყნებში მეურნეობის წარმატებისათვის. სამწუხარო ის არის, რომ „კავკასიის სამეურნეო საზოგადოება“, რომელიცვალდებულია ამგვარ საქმეს თვალ-ყური ადევნოს და ამ მხრით დაეხმაროს ჩვენს ქვეყანას, ჯეროვანად ვერ ასრულებს თავის მოვალეობასა.

რამდენი ხანია მოიგონეს, მაგალითად, ევროპაში, რომ ნაცრის მომსპობი წამალი გოგირდი არისო და ზემოხსენებულ საზოგადოებას მხოლოდ ახლა მოაგონდა ამ საშუალების რჩევა ჩვენის მეურნეობისათვის. მაგრამ ამისთვისაც მადლობის ღირსია, სულ არაობას, გვიან საქმის გაკეთება სჯობიან.

ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე იყო გამოცხადებული, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ვაზის ავად-მყოფობის („ნაცრის“) წამალი—გოგირდი დაიბარა მარსელიდამო და მსურველს აქ, ტფილისში და კახეთში (სოფ. ვაჩნაძიანში) შეუძლიან იყიდოსო; ამავე ადგილებში ისყიდება გოგირდის მოსაყრელი საბერველიო. ფუთს გოგირდს ტფილისში 2 მან. და 50 კაპ. ჰყიდის საზოგადოება. ამ კეთილ გზას დაადგა, ამიტომაც ჩვენ გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ აქ იმის შესახებ —თუ როგორ შეიძლება იმის განზრახვის სისრულეში მოყვანა.

ამ საქმეში, უეჭველია, მთავრობამ, ხაზინამ უნდა მიიღოს დიდი მონაწილეობა. როგორც გუშინდელი „კავკაზი“ ამბობს, პირ-და-პირ სარგებლობა ხაზინისა მოითხოვს, რომ გოგირდის მიღებაში შემწეობა აღმოუჩინოს ღარიბ გლეხ-კაცობას და მით საშუალება, სხვათა შორის, სახელმწიფო ხარჯის გარდახდისათვის. როგორც ვიცით კახეთის ორ უეზდის—თელავის და სიღნაღის გლეხებზე ოცი-ათას თუმნამდინ ძველი წლების გარდაუხდელი სახელმწიფო ხარჯი (ნედოიმკა) ითვლება; თითქმის ერთად-ერთი მიზეზი ამისი ის გარემოება გახლავთ, რომ ამ უკანასკნელ ოც-და-ხუთის წლის განმავალობაში ხალხს ღვინის მოსავალი მოესპო. მიეცით საშუალება ღვინის მოსავლის გაუმჯობესობისა და ხალხი წელში გაიმართება, თვითონაც ისარგებლებს, სულს მოიბრუნებს და ხაზინასაც გარდაუხდის ძველსა და ახალ ხარჯსაც.

ამის შესრულება, ჩვენის აზრით, ასე შეიძლება:

ხაზინამ უნდა დაიბაროს რამდენიმე ათასი ფუთი გოგირდი და ისეთს ადგილებში გაგზავნოს, სადაც ვენახები იციან ჩვენს ქვეყანაში და ვაზი „ნაცრისაგან“ ფუჭდება; თუ შუაგულ სოფლებში გაგზავნა შეიძლება გოგირდისა, ხო კარგი; თუ არა და სამაზრო ქალაქებში მაინც უნდა იყოს

ახლა დარიგების შესახებ: ვისაც შეუძლიან ყიდვა, რაღა თქმა უნდა, ფული უნდა გამოერთვას. ვისაც არა, შეიძლება ან ორი-სამი კაცი და ან

---

„დროების“ ფელეტონი, 21 მაისი.

### გაშმაგებული ქალი

(ფრანცუზულიდამ ნათარგმნი *)

გაბრიელს დაფარული ხასიათი ჰქონდა, იცოდა თავის დაკავება და არ აჩენდა აღელვებას, რომ იმითი ადმირალის სიმშვიდე არ დაერღვია. არავის ეუბნებოდა თავის გულის ამბავს და თუნდ მეჯლისში ყოფილიყო, თავის თავს მარტოთ გრძნობდა. როგორც კაცებმა იციან, ხშირად სიგარას მოუკიდებენ იმიტომ, რომ იმის სუნნელებით დასტკბენ, ისეც გაბრიელი მოჰყვებოდა საუბარს იმიტომ, რომ თავიდამ აიშოროს სხვის მოსაწყენი ლაპარაკი. სხვებისაგან დაშორებული იგი ყოველთვის გულის-ყურს ადევნებდა თავის თავს. ამიტომაც გაბრიელი იყო თავისიანებისთვის გაუგებარი და მეგობრებისთვის უცნობი.

უმაწვილს ქალს საიდუმლოდ ჰქონდა თავისი გულის მოძრაობა და თვრამეტ წლამდის არავისთან გამომჟღავნა; მაგრამ ერთი მიუხვდა, უთხრა და გაბრიელმა შეიყვარა ის. ისეთი ცხარი სიყვარული ჩაენერგა ამ კაცისა, რომ თითონ ქალი თუნდ მონაწილეც იყო და ყოველ ღონისძიებასაც ხმარობდა, მაგრამ მაინც დიდ ხანს, გათხოვების შემდეგაც, როდესაც გონებაზედ მოვიდა, შიშით იგონებდა იმასთან გულით შეერთებას და თითქო თავის თავიც დამნაშავე ეგონა.

ადმირალი ისეთ ნაირად თვალებ ახვეული იყო, რომ თავის ქალს დედას მიაგვანებდა და როდესაც გაბრიელი გახდა სახლის უფროსად, ისეთისავე კილოთი ელაპარაკებოდა იმას, როგორც იმის დედას,—ეგონა, რომ ამითი დიდ პატივსა სცემს. ქალი დედასავით მორჩილი არ იყო, ამიტომაც ადმირალი ხშირად სასტიკად ეკიდებოდა და ზოგჯერ კი ალერსს მოუყვებოდა, რადგან ყოველ დღე დამტკბარი იყო იმის მშვენიერი სახის ნახვით.

გაბრიელი ლამაზი იყო. იმის საუცხოვო სიარულს და მოხდენილს მიხრა-მოხრას კაცი აღტაცებაში მოჰყავდა, იმის სიტურფას ცქერით ადამიანი ვერა სტკბებოდა. იმის ცოცხალ ხასიათს უხდებოდა დამშვიდებული და დარბაისლური ქცევა. იმის დიდრონს შავ თვალებს ამშვენებდნენ გადაჭიმული და ხშირი წარბები. თვალებში გამოიხატებოდა მიუნდობლობა და მაშინ უფრო ცხადათ სჩნდა ამ თვალების გამოხატულობა, როდესაც დახამხამების დროს წამწამები ერთმანერთს მოხვდებოდა, სწორედ ისე როგორც პეპელა თავის ფრთებს დასცემს ხოლმე ყვავილებსა. ბალის ფერი ხუჭუჭი თმა ზედ შუბლზე გადმოჰფენოდა. მშვენიერი ქორფა პირი ყველას არ უცინოდა და თითქოს ზოგავდა ეჩვენებინა სხვებისთვის თავისი მარგალიტივით თეთრი კბილები.

— მამა ჩემო, ამ საღამოს როგორა ბძანდებით? ჰკითხა ქალმა, რომელიც ისე აღელვებული იყო, რომ თავს ძლივს იმაგრებდა.

— ეჰ! წუხანდელზედ დღეს უფრო სუსტათა ვარ, ჩემო ვერიტო.

გაბრიელს მამა უწოდებდა ყოველთვის „ჩემო ვერიტო“ და ქმარი ეძახდა „ჩემო ძვირფასო ბავშვო“. ამას არ მოსწონდა არც მამისა და არც ქმრის ალერსი და იმის ნაღველს ემატებოდა კიდევ მოუთმენლობა, რადგან ყოველ წამს ლაპარაკში და წერილშიაც კი ადმირალ პრესსანი და კომანდორ ნეისსი ამ სიტყვებს ხშირად გარდამატებულად და უგულოდ ხმარობდნენ.

— იქნება სეირნობამ დაგღალათ, მამა ჩემო? შენმა მრთხრა, რომ ბრასამლის წასულხართ.

— ჩემო ვერიტო, ცხენები არ მივარგა, ჩქარა არ დადიან. ფეხით ვერ მივლია, უფრო კარგი მატარებელი მეჭირება.

— პარიჟიდამ სხვა ცხენებს დაგიბარებთ, რადგან მარსელიდამ გამოგზავნილი არ მოგწონთ. მგონია ეგენი გამოდგებიან პარიჟში; მაგ ცხენებს გამოვაცვლევინებ და ახლებს მოვაყვანინებ.

— ჩემი ყურის-მგდებელი შენა ხარ, ჩემო ვერიტო. დედა შენმაც სწორედ ეგრე იცოდა. მართლა ბედნიერი ვარ, რომ მაგისთანა მზრუნველი მყევხარ. სად შევიძლებდი ჩემი თავის გაფრთხილებას! არც ჩემი საქმეა; ჩემთვის საშინლად მოსაწყენია, რასაც შენ სიამოვნებით აკეთებ.

გაბრიელს არ უკვირდა ადმირალის ამ ნაირად საქმის სჯა, მაგრამ როგორ გაოცდებოდა მამა, ქალს რომ ეთქვა იმისთვის: „სახლის გაძღოლა მეც მეჯავრება და ჩემთვისაც საშინლად მოსაწყენია“.

— ქალო, რა მშვენივრად გაცვიათ ტანთ, უთხრა ადმირალმა, როდესაც მუშტრის თვალით გადახედა ქალს,

*) იხ. „დროება“ № 100.

მთელი სოფელი დაუდგეს თაედებად, და ამათ რამდენიმე წლის ვადით უნდა ედროვოს გოგირდის ფასისა და საბერველის ფასის გადახდა.

მხოლოთ გაფთხილებაა აქ საჭირო: ხშირად ამ გვარ შემთხვევით ზოგიერთი ჩვენი ადმინისტრაციის მოხელენი სარგებლობენ ხალხის უმეცრებითა და ტყავს აძრობენ. პატიოსანი, ხალხის გაჭირების გულ-შემატკივარი კაცები უნდა დაინიშნოს ამ საქმის მოთავედ.

ამას გარდა საჭიროა, რომ ხაზინამ თავის ხარჯითვე გაგზავნოს სოფლებში რამდენიმე ნასწავლი და გამოცდილი კაცი, რომელთაც ასწავლონ, უჩვენონ ხალხს—თუ როგორ უნდა გოგირდსა და საბერველს მოხმარება, რა დროს უნდა იმის მოყრა ვაზს და სხვ.

თუ ახლავე არ იზრუნა ყველა ამაზე სამეურნეო საზოგადოებამ უმ ღლესის მთავრობის წინაშე, თუ ახლავე არ მიიღო თავის თადარიგი, შეიძლება აქაც ერთი რამ ისეთი მოიგონონ ჩვენის ხალხის გამცარცველებმა, რომ ეს გოგირდიც ერთ თვის გასამდიდრებელ და ხალხის გატყავების ახალ ღონის-ძიებად მოიხმარონ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ კახეთის ზოგიერთ სოფლებს, როგორც გვითხრეს, წინადადება მიუციათ ვილაცაებისთვის—ოღონდ ვაზი მოგვირჩინეთ და წლის ორი-მესამედი მოსავალი თქვენი იყოს,

ჩვენ ერთს მესამედსაც დავჯერდებით! ადვილად შეიძლება ისეთი უსინდისო პირები გამოჩნდენ, რომელთაც ხალხის გაჭირებით სარგებლობა მოინდომონ და, მართლაც, ამ გვარ პირობით შეეკრნენ ვენახის მეპატრონეებსა.

ყველა ამის შესრულება ხაზინას ბევრი არ დაუჯდება და სარგებლობა კი, როგორც ზევით ვთქვით, იმათთვისაც დიდი იქნება და ხალხისთვის ხომ აღურიცხველი.

## დღიური

გასულ ორშაბათის სხდომაზედ ჩვენმა ქალაქის რჩევამ განიხილა ქალაქის გამგეობის წინადადება იმის შესახებ—თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენმა ქალაქმა ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევის დღესასწაულშიო, და გადაწყვიტა შემდეგი: ა), დაინიშნოს დეპუტაცია, რომელიც დაესწრება ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევას მოსკოვში და რომელიც შესდგება შემდეგ პირებისაგან: ქალაქის თავი ბ. მატინოვი და ხმოვანნი: მანთაშოვი, ზრიდონოვი, თაიროვი და ზარაფოვი; ბ); შეუკვეთონ ვერცხლის, მინანქრით გაკეთებული ფოდნოსი და სამარილე პურ-მარილის მისართმევად; გ), გვირგვინის კურთხევის დღეს ქალაქი გაჩაღოს; დ), ქალაქის გაჩაღებისა, ფოდნოსისა და სამარილისათვის გადადვას 2,000 მან. და ე), ქალაქის ღარიბ მცხოვრებლებს აპატიოს უძრავ ქონების ხარჯი 15,000 მანეთისა.

***

ამ სამი-ოთხი თვის წინათ ტფილისში გაიხსნა „იურიდიული კაბინეტი“, რომლის განცხადებაც ჩვენს გაზეთებშიაც იბეჭდებოდა და იქიდამ გაიგებდა მკითხველი—თუ რა დანიშნულებით და მიზნით იყო ის გახსნილი.

„იურიდიული მიმოხილვა“ გვაცნობებს ახლა, რომ ტფ. ოლქის სასამართლოს ამ კამიტეტის შესახებ ჰქონია მსჯელობა და გარდაუწყვეტია, რომ, რადგან იმას არა აქვს ვექილობის უფლებაო, ამის გამო ის უკანონოდ გახსნილიაო და უნდა დაიხუროსო.

ჩვენ არ ვიცით—რამდენათაც მართალია ამ თავის გარდაწყვეტილებაში ტფ. ოლქის სასამართლო, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ კარგის საფუძველით და კეთილ-სინიდისიანის პირისაგან გახსნილი ამ გვარი იურიდიული კაბინეტი დიდ სარგებლობას მოუტანდა ჩვენს ღარიბსა და უმეცარ ხალხს, რომელიც ისეთ ნაირად შეწუხებულია ჩვენებური გაიძვერა ადვოკატებისაგან.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ გუბერნიის მარშლად ამორჩეულს თ. დ. ა. სუმბათოვს ბ. ღუბერნატორისაგან მოსვლია ქაღალდი და პასუხი მოუთხოვენია ამ პროტესტის თაობაზედ, რომელიც, როგორც ამ დღეებში იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული, ზოგიერთ საპატიო პირებმა წარადგინეს ამ უკანასკნელ კენჭის-ყრაში ... უკანონობის თაობაზედ.

***

ქვემო მოყვანილ ამბავს ვბეჭდავთ იმ პირთა საყურადღებოდ, რომელნიც შიშობენ, მთავრობა არ შეიწყნარებს ჩვენს თხოვნასო, რომ ჩვენებურ სკოლებში სამშობლო ენაზე სწავლა ვალდებულებითი იყოს. რუსულ გაზეთს „რუსკი კურიერში“ დაბეჭდილია:

„ავგუსტოვის გუბ. კოსაკის სოფლის საზოგადოებამ გადაწყვიტა მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს, რომ ამ საზოგადოების ყველა სკოლებში სწავლება სამშობლო (პოლშურ) ენაზედ იყოს.“

თუ კი უბრალო სოფლის საზოგადოება, ისიც პოლშისა, თამამად თხოულობს სამშობლო ენის უფლების მინიჭებას და იმედოვნებს თხოვნის შეწყნარებას, მთელი ჩვენი თავად-აზნაურობა რატომ არ უნდა იმედოვნებდეს?

***

ზემოხსენებულისავე გაზეთის სიტყვით, რუსეთის ყველა გუბერნატორებს მიწერილობა მიუღიათ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყვნენ ჩაცმულნი ის მამასახლისები, რომელნიც ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევას უნდა დაესწრონ მოსკოვში. ამათ უნდა ეცვათ ხელზე, გულზე და საყელოზე სირმით შემოვლებული გრძელი რუსული ჩოხა (კაფტანი) რუსული ქუდი და წელ...

---

...თითქო ვისმეს უცხოს სინჯავდა ან ოპერაში, ან სადმე სეირნობის დროს. —რაც კაბის მკერავი გამოიცვალეთ უფრო ლაზათიანათ იცვამთ ტანთ. თუ ეს კოხტურათ და გემოვნებით შეკერილი კაბა არის ახალი მკერვლის ხელოვნება, სწორედ რომ კარგი გოშოვნიათ. რა ჰქვია მაგ ფარჩას, ჩემო გერიტო? მერე როგორ პირისფრათ სცემს.

— მა საუკეთესო სიურაა.

— სახელიც მშვენიერი დაურქმევიათ, ბაცი კრუჟოვის მორთულობა ხომ ხატავს მომავალ ადმირალის ცოლსა.

გაბრიელმა ცივათ თავი ჩაღუნა. ამ სიტყვებმა მოაგონეს ქმარი და მიღებული წერილი.

სადილი თავდებოდა; გაბრიელი ხედავდა, რომ მალე ბოლო მოეღება იმის იძულებით თავის დაკავებას, ამიტომაც მამას უფრო მოკლედ და დამშვიდებით უპასუხებდა.

როდესაც სადილი გათავდა, ქალმა ხელთათმანი აიღო და დააპირა სასეირნოთ წასვლა, როგორც ნიადაგ იცოდა. ადმირალი კი მაშინ შევიდოდა ხოლმე თავის ოთახში ჩიბუხის მოსაწევათ და გაზეთების საკითხავათ.

გაბრიელმა მამას საკოცნელათ შუბლი მიუშვირა და ჩვეულებისამებრ უთხრა: „ნვ ლამდის“. რადგან ყოველ საღამოობით ის თავს აშორებდა და არ დაესწრებოდა ადმირალის ჭანდრაკის თამაშობას ერთს იმის დიდი ხნის ნაცნობთან, ადრინდელ იმის თანაშემწესთან, რომელიც ყოველ საღამოობით ქანნიდამ ეწვეოდა. მაგრამ ამ ხელად მამამ შეაყენა ქალი და უთხრა:

— წამომყევი მეორე ოთახში, ჩემო გერიტო.

ქალი აკანკალდა. ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როდესაც ადმირალი გადუდგებოდა თავის რომელიმე ჩვეულებას.

— თუ თქვენი ნებაც იქნება, მამაჩემო, უთხრა ქალმა,—ჯერ გავისეირნებ. ცოტათ შეუძლოთა ვარ და ჩაკეტილ ოთახში ვერ გავძლებ.

— მე შენთან სალაპარაკო მაქვს, მიუგო ადმირალმა ისეთი კილოთი, რომ წინაალმდეგობა აღარ შეიძლებოდა.

ქალი გაჰყვა იმას. მეჭანდრაკე რვა საათზე ადრე არ მოვიდოდა; ეხლა რვის ნახევარი იყო.

— ჩვენთვის ეს დრო საკმარისია, სთქვა თავის თავ-თ ადმირალმა. როდესაც ადმირალი დაბინავდა სასტუმრო ოთახში, მსახურები გაისტუმრა. ქალი ფეხზე იდგა კედელზედ მიყუდებული.

— დღეს ხომ წერილი მიიღე, უეჭველია; შენი ქმარის ამბავი ეწერება; რატომ არ მიჩვენებ?

— ამიტომ, უპასუხა შეუპოვრათ ქალმა, რომელსაც თითონვე ძალიან უკვირდა ამისთანა გაბედულობა მამის წინ,—რომ არ ვიცოდი, თუ უნდა გიჩვენოთ საკუთრივ ჩემთან გამოგზავნილი წერილები.

ადმირალი აღშფოთდა.

— გაბრიელ, შენ ეგრე მელაპარაკები განა?

— თუ კითხვას გამიმეორებთ, მეც მაგისთანა პასუხებს მოგახსენებთ. დამანებეთ თავი, მინდა აქედამ წავიდე, ჩვენთვის ორივესთვის საუკეთესო იქნება.

— თუ ეგრეა, დარჩი აქ? რადგან ჩემი სიძის ამბავი მოგსვლია, რადგან მე მსურს შევიტყო, ვიბძანებ, ეხლავე მიპასუხე.

გაბრიელს თან-და-თან მოთმინება ეკარგებოდა.

— თუ გნებავთ უსიამოვნობა მოგაყენოთ, მაგაზე ადვილი რაღა იქნება, ადმირალო! მინდოდა ამეცილებინა თქვენთვის აღშფოთება დღესაც, როგორც კვლავ; მინდოდა დამეფარა ჩემი ნაღველი, ჩემი სევდა და გულის დარდები, მაგრამ თქვენ მიბძანებთ და მე უკანასკნელად ვასრულებ თქვენს ბძანებას.

— როგორ თუ უკანასკნელად! დაიკივლა მამამ და წამოიწია ასადგომად.

მაგრამ სად შეეძლო ამ უძლურს წამოდგომა, უნდოდა ზარი დაერეკა და იფიქრა, რომ არც მაგითი რასმეს გააწყობდა. გაბრიელ მიუახლოვდა მამას. თმები თითქმის წარბებამდის ჩამოსწვდომოდა, თვალები ნაკვერჩხალივით ჰკრთებოდნენ. ადმირალს ეგონა, რომ იმის წინ მოჩვენება დგას და პასუხის მიცემის მაგივრად თითონვე თხოულობს პასუხს.

გაბრიელი თავისი დიდრონი თვალებით პირ-და-პირ შეჰყურებდა მამას. იმის ალისფერი ტუჩები სასტიკად იღიმებოდნენ და თეთრს კბილებს აჩენდნენ.

— ჭკუა მოიგროვე, გაბრიელ, უთხრა მამამ თავის დაკავებით და ამ ხელად აღარ ახსენა თავისი ალერსიანი სიტყვები „ჩემო გერიტო“.—ხომ იცი, მე არ მოვითმენ, რომ ვინმე ამაყად მელაპარაკოს.

— მაშ ჩემგან საყვედურის მეტს არას შეიტყობთ.

— მერე რაზედ მისაყვედურებ, ერთი მითხარი?

— რაზედ და ჩემ გათხოვებაზე.

— შენ გათხოვებაზე? როგორა ბედავ მაგაზე ლაპარაკს? განა ეგ საქმე შენი განსასჯელი გახდა! განა ყმაწვილის რადლების ღირსი იქნება შენი მოსაზრება. მგონია გასულელებულხარ!

— არა, მე სულაც სულელი არა ვარ, მხოლოდ მოთმინება დავკარგე, მე გამმაგებული ვარ! აქამდის დაჩაგრული ვიყავი, ეხლა მინდა წელში გავიმართო. იქნება თქვენი მყუდრო სიცოცხლე შევარყიო ამითი, მაგრამ ვეღარ მოვითმენ შეურაცხყოფას თქვენგნით არჩეულ სიძისაგან, რადგან ეს შეურაცხყოფა შეეხება ჩემს პატიოსნებას და ჩემს ღირსებას.

— რომელ რომანიდამ ამოგიკითხავს...

...ზე ცისფერი ფართო სარტყელი. თუ თვითონ მამასახლისები თავის ხარჯით ვერ შეიძლებენ ამ ტანისამოსის შეკერვას და მოსკოვში მოსვლასა, სოფლის საზოგადოების ფულებიდამ უნდა მიეცეთ ამათ ამის საშუალებაო.

## ...ხმა „შრომისა" ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკზედ*)

იმავე მეთორმეტე ნომერში „შრომა" ჰყვირის დიდ ჯამაგირებზე; ის თითქო აღელვებს საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით:

„რათ გინდათ ბანკი, თუ ამდენ ჯამაგირებს მოსამსახურეები წაიღებენ!"

ამის პასუხი ძრიელ ადვილია, განსაკუთრებით, შემდეგ იმ შემთხვევისა, რომელიც მოხდა ქუთაისის საურთიერთო კრედიტის ბანკში, სადაც, თითქო ეკონომიური ანგარიშით, საბუღალტერო წიგნების მაგიერად, რაღაც სადუქნო ნუსხები შემოიღეთ; მაგრამ ეს ნუსხებშა აღარ არგოთ და იძულებულ იყვნენ, როცა მათ გაუხილეს თვალები ისევ, ჯეროვანი წიგნები მოეპოვებიათ. გარდა იმისა, ჩვენ დავინახეთ, რომ იმ ბანკშიაც ვეღარ გასძლეს უჯამაგიროთ და გვარიან ჯამაგირზე შეპოტინდენ. ახლა მკითხველმა განსაჯოს და სინიდისით სთქვას: შეიძლება საადგილ-მამულო ბანკის ხარჯი შეადაროს კაცმა საურთიერთო კრედიტის ბანკის ხარჯს? განა ღირს, რომ კაცმა ცოტა ნამეტან ხარჯს შესწიროს საზოგადო საქმის რიგი და წესი? მაგრამ ამაზე გაჩერება არ ღირს.

*) „დროება", № 101.

ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ „შრომამ" ჩვენი ლანძღვით მოიწყინოს. აბა მოუსმინე „შრომას" იმავე მეთორმეტე ნომერში:

„ზედამხედველი კომიტეტის და სამართველოს დაუდევნელობით და უცოდინარობით სანამ დაამტკიცებდა მინისტრი სესხს, მანამდის გაიცა 200 ათასი მანეთი ავანსათ და რადგან შემდეგ მინისტრმა არ დაამტკიცა სესხი, ამ გარემოებამ გამოიწვია ბანკის მართველის პეტერბურღში მოგზაურობა და ამით ზარალი მიეცა ბანკს."

აქ კი სულ ულალატნია „შრომასათვის" ლოღიკას. ერთი რომ ოთხი-ხუთი წელიწადია იმ გვარით ეძლევოდათ ფულები მსესხებლებს, როგორც წელს მიეცათ 200 მანეთის სესხი; ჩვენი ადგილ-მამულების დაფასებას რიგი და წესი სამინისტროში კარგათ იცოდნენ, რადგან იქ იყო ჩვენი ინსტრუქცია; მაშასადამე სესხის დაუმტკიცებლობის მიზეზები სხვები იყვნენ და არა ჩვენი დაუდევნელობა, ანუ უმეცრება, და ჯერ ეს მიზეზები უნდა გაეგო „შრომას" და მერე ელაპარაკა ჩვენს უცოდინარობაზე.

მეორე, როგორ ვერ მიიღო „შრომამ" სახეში, რომ კიდევაც წინდაწინვე რომ არ მიეცა გამგეობას ავანსით ფულები მსესხებლებისათვის, განა არ უნდა გაგვეგზავნა პეტერბურღში ბანკის მმართველი, როდესაც გავიგეთ, რომ მინისტრმა არ დაამტკიცა 200 ათასი მანეთის სესხები? განა სამასი [illegible] ოთხასი მანეთი დახარჯვა უნდა გვ[illegible]არებოდეს, თუ კი იმითი რამდენ[illegible] არი ათასი მანეთის საქმე გავა[illegible]ებთ?

გარდა ამისა, „შრომის" აზრით ბანკის მმართველისათვის არაფერი გზის ხარჯი არ უნდა დაგვენიშნა, რადგან იმას ჯამაგირი და პროცენტები ეძლევა. ის კი ვეღარ მოუფიქრებია „შრომას", რომ იმისთანა ქალაქში მისვლა, როგორც პეტერბურღი, იქ დაბინავება და იმისთანა პირების ნახვა, როგორც მინისტრი, სამინისტროში მოსამსახურენი და ბანკირები და ზოგიერთების იმათი სადგომზე მიღება და გაცნობა, როგორც მიუცილებელი საჭიროება ყოველი საქმის გამკეთებელის,—უსათუოთ დიდად მეტ ხარჯს მოითხოვს, მინემ ჩვეულებრივ ხარჯავს კაცი. ერთის სიტყვით, იქ საქმის გამკეთებელს თავშიაც უნდა ედვას და ჯიბეშიაც; ხოლო „შრომას" რომ ჰკითხო, არსად არ უნდა ედვას. აქაც თქვენი ნება იყოს. ჩემთვის საინტერესოა, რას ბრძანებდა „შრომა", რომ პეტერბურღში გაგზავნილს ბანკის მმართველს ვერ გაუკეთებია საქმე, რომელიც იმას მიავნდეთ? განა ყველაფერი საქმე კეთდება ქვეყანაზე და ყველაფერი სურვილი სრულდება? განა არ იცით, რომ ხანდისხან მანქანებაც ვერას არიგებს? მერე ჩვენებური მანქანება, დაბადებიდ[illegible] ბანკის კრები[illegible] ცხელ ჰავ[illegible] ზრდილი ჩემი პატივცემული მეგობრის, ბ. კირილე ლორთქმანის მაღალ ხმის ქვეშ, რას ივარგებს პეტერბურღის ცივ ჰაერში, შუა ზამთარში, როდესაც ვაგზავნით, ხოლმე, ბანკის მმართველს!

ახლა ჩაიხედეთ „შრომის" მეშვიდე ნომერში. ამ გაზეთის სიტყვებით, ვითომც ჩვენ ვსთქვით:

„წესდების შეცვლა წინააღმდეგობა იქნება მმართებლობისა, რადგან მმართებლობისაგან დამტკიცებული გვაქვს წესდება".

მადლობა ღმერთს, ამასაც მოვესწარი, რომ ამისთანა სისულელის თქმას მაბრალებენ! ერთი რომ, რა ნაირად ვიტყოდით ამას მაშინ, როდესაც იმავე დღესვე იყო განხილული რამოდენიმე პარაგრაფები იმავე წესდებისა და კრებამ დაადგინა იმათი შეცვლა ითხოვოს. მაგრამ, ამისთანა ბრალის წინ რომ თავი იმართლოს კაცმა, გიჟი უნდა იყოს

იმავე მეშვიდე ნომერში „შრომა" ახსენებს რაღაცა ორასი თუმნის ანგარიშის აბნევას, მაგრამ მხოლოდ **ახსენებს**; საქმე რაშია, არ ამბობს, ამისათვის და იმისათვის კიდევ, რომ მიეჩვია ჩვენი ყურები „შრომისაგან" ჭორების გაგონებას, არ დავღალავ მკითხველის ყურადღებას ამაზედ ლაპარაკით.

რაც შეეხება იმას, რომ იმავე მეშვიდე ნომერში „შრომა" ამბობს ზე-

---

...ეს მაღალი ფრაზები? მე არა გამეგებარა, ინებე და ამიხსენი.

— მამა ჩემო, თქვენ მეკითხებით ალბათ ამბავს კომანდირ ნეისზე? ეხლავე მოგახსენებთ. საწყალი ბარონის სიკვდილის შემდეგ ღუბერნატორს მოუყვანინებია თავის ადიუტანტათ ის კაცი, რომლის ცოლი ძლივ-ძლიობით გააშორეთ თქვენს სიძეს ჩვენ ჯვარის-წერის წინედ. ეხლა თქვენი მოსწული ბერტა მწერს, რომ კალონიაში ყველას სალაპარაკოთ გაუხდიათ ეს ამბავი და რომ ბერტას ქმარი ამავე მიზეზით იძულებული იყო სამსახური დაეტოვებინა.

ადმირალი არ დაიძრა, მაგრამ ნიკაპი უკანკალებდა და ფერი შეეცვალა. გაბრიელი დარწმუნდა, რომ იმის მამა აღელვებული იყო. მერე ადმირალმა დაუწყო ქალს ყურება, თვალს არ აშორებდა და იმის გაშმაგება უკვირდა. თითონ კარგა იცოდა თავის სიძის საიდუმლო კავშირი იმ დედაკაცთან, რომელთანაც ვინ იცის რამდენიც კავშირი ჰქონდა. მაგრამ განა ღირდა, რომ მაგისთანა უბრალო საქმისათვის ადამიანი გაშმაგებულიყო?

ადმირალს ქეიფი მოეშალა, როდესაც დაინახა თავის ქალის სახის [illegible]ტიკი გამოხატვა და იმის გამბედაობა; გაბრიელს თავი ველარ დაეკავებინა და თითქმის საომრად მომზადებულიყო.

თითონ ადმირალი თუმცა თავის მამას დიდ პატივსა სცემდა, ყოველთვის მორჩილი არა ყოფილა იმისი და ხშირად გაუწევია მამისთვის წინააღმდეგობა. ალბათ ქალი პაპას თუ მიემგვანება. ადმირალს თავში ათასნაირი აზრები აერია და ვერას გზით ვერ დამშვიდებულიყო. ბოლოს უთხრა თავის ქალს:

— კარგი, კარგი, გაბრიელ, ეხლა მესმის შენი აღშფოთება. გეპატიება კიდეც, თუ იცოდე, რომ შენი ქმარი გიყვარს ნამდვილი სიყვარულით.

არა, ღმერთმა დამიფაროს, სთქვა გაბრიელმა ზიზღით; — მე მიყვარდა რობერტ მალეზერბ და ნამდვილი სიყვარული მხოლოდ ერთხელ შეიძლება. ჩემ ქორწილის წინედ ხომ გაგიტყდით, შეგატყობინეთ წერილით, რადგან მორცხვი ვიყავ და ვერ გავბედე პირ-და-პირ თქმა ისე, როგორც დღეს ვეუბნებით, რომ მძულს ჩემი ქმარი. თქვენი ბძანებით ჩემის ბედნიერება უარვყავი და შევირთე კომანდირი ნეისსი. ეგ წადილიც ხომ აგისრულეთ. სულაც არ ვკვირობდი, რომ თქვენი ამორჩეული სიძე უგულო და თავ-მოყვარე იყო. მე იმას პატივსა-ვცემდი, ვემორჩილებოდი, რადგან ფიცი მიცემული მქონდა და ყოველთვის სამაგალითო მეუღლე ვიყავ. ის კი მუდამ მღალატობდა! იქნება თქვენ გვერდით რომ ვცხოვრობ, უფრო იმიტომ გავხდი თავ-მოყვარე და ვფიქრობ მხოლოდ ჩემს მოსვენებაზე! მართალია, ჩემს გულს არ შეეხება ეგ უსიამოვნება, მაგრამ სახელის შეურაცხყოფას კი არავის დაუთმობ. მე ჩემი ფასი ვიცი; ჩემი სიმდიდრე, ჩემი სილამაზე და მამის სახელი—ყველა შევწირე კომანდირ ნეისს და ნება მაქვს მოვთხოვო იმას, რომ ჩემი პატივისცემა არ დაივიწყოს.

— მგ რა უთავბოლოდ ლაპარაკობ, ჩემო გვრიტო! უთხრა ადმირალმა, რომელიც ეხლა დამშვიდებული იყო. —არა თუ შენ ქმარს უსაფუძვლოდ ცილსა—სწამებ, მარტო სხვის ნალაპარაკებით მეც წინააღმდეგობას მიწევ და მემდური. განა ეგ ჩემი ბრალია? განა ვიცოდი, რომ ჩემი სიძე დაიბარებს იმ ქალბატონს...... რა ჰქვიან, დამავიწყდა?

— რაში მეკითხება იმის სახელი! სთქვით თავის საყვარელს, შეჰყვირა გაბრიელმა.

— დაჩუმდი ეხლავ! მაგისთანა სიტყვები აღარ გავიგონო ჩემი ქალისაგან. თუ ჩემი სიძე ამოდენა ხანი შენ ალერსით და პატივისცემით გეპყრობოდა და ეხლა კი მაგისთანა უგუნურობას სჩადის, უნდა სწორედ შევიტყოთ ეგ საქმე და ისე გავკიცხოთ. მაგრამ თუ გინდა, რომ შენკენ ვიყო და შენი მხარე დავიჭირო, ნუღარ მომაგონებ რობერტ მალესზერბს შერთვის სურვილს. რაღაც უსაფუძვლო ეჭვის გამო ქმარზე, როგორ ბედავ და ჩემ წინ ახსენებ რობერტს! ვინ იცის იმ გიჟს ათასაც ჰყოლია იმ დედაკაცებისა, რომლებსაც შენ უმართებულოთ იხსენიებ. მართალია, ჩვენ ახალგაზდობას ზნეობით დაცირება დიდ კაცობა ჰგონია, მაგრამ, თუ მაინც-და-მაინც ეგ ამბავი მართალი გამოდგა, მაშინ უნდა ჩვენში დავფაროთ, რადგან უნამუსო ქალებთაგანი ხომ არ არი. იმას ქმარი აფიცერი ჰყავს და იმ კაცის პატიოსნებასაც ისე შეეხება როგორც ჩვენ და სალაპარაკოთ უფრო ისინი გახდებიან.

— მამა ჩემო, ჩვენი აზრები ერთმანეთს არ ეთანხმებიან! მე არაფრად მიმაჩნია, რომ უნამუსო ქალის ამყოლი საზოგადოებისაგან უფრო გასაკიცხავია და მაშინ უფრო სალაპარაკოთ გავხდებოდით. მგონია, ის ახალგაზდა კაცი უფრო ღირსია პატივებისა, როდესაც სიყვარულისაგან დამწვარ გულს ცდილობს ლხინით გაართოს, ვიდრე როდესაც დარბაისელი პატივსაცემი და თავისუფალი კაცი, რომელსაც ალერსის ძალას ხრაპინ არ ატანს, ყველას ატყუებს, დიდ ბედნიერად უჩვენებს თავის თავს და ჩუმად კი სხვასთან შეკავშირებულია. მე ყველაფერს დაუთმობ კაცს, მაგრამ ტყუილს და პირ ფერობას არავის შევარჩენ. ერთის სიტყვით, მამა ჩემო, თქვენი სიძე საძაგელი ყოფაქცევისაა!

ლონე მიხდილმა ადმირალმა წაიბუტბუტა:

— ნუ მაწყენინებ ეგრე?

(გაგრძელება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამხედველი კომიტეტის უსაქმობაზე მე აი რას ვურჩევ იმას: აიღოს ბანკის წესდება და წაიკითხოს იმაში § 78, სადაც ჩამოთვლილია სხვა-და-სხვა ვალდებულება ზედამხედველის კომიტეტისა და ნახავს, რომ იმ პარაგრაფში სულ 16 მუხლია, რომლებშიაც ორ ნაირად არიან გაყოფილნი კომიტეტის ვალდებულებანი. პირველი თვისების ვალდებულებას შეადგენენ (1—14 §§) იმ გვარი ვალდებულებანი, რომელსაც კომიტეტი ნიადაგ ასრულებს; ხოლო მეორე თვისებისას შეადგენენ იმ გვარი ვალდებულებანი (15—16 §§), რომლების აღსრულება, ღვთის მადლით, ჯერ არ დასჭირებია კომიტეტს, ესე იგი იმისთანა ვალდებულებანი, რომელნიც უნდა შესრულდენ მაშინ, როდესაც რაიმე ცუდს საქმეს მოახდენს გამგეობა, ანუ დამფასებელი კომისიის წევრნი და როდესაც ბანკში დაგირავებული მამული არ გაიყიდება იმ ფასათ, რა ფასათაც არის დაგირავებული.

თუ ე[ს] ენი ესმის კარგათ „შრომას“, მიკვირს, რალა ალაპარაკებს კომიტეტის უსაქმობაზე. მიკვირს, ამოდენი უსაფუძვლო, დაუმტკიცებელი და ცარიელი ენით ლაპარაკი რატომ აღარ მოსწყინდა!

მეჩვიდმეტე ნომერშიაც ახსენებს „შრომა“ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკს და გულ-დაწყვეტილი ამბობს, რომ ჩვენი საფუძვლიანი საჩივრები მინისტრმა არ შეიწყნარაო! აქედამ სჩანს, თუ ვინ არიან, რომელნიც „შრომაში“ კბენენ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკს.

(დასასრული ხვალ)

# განცხადებანი

სომეხთ ნერსესის პოპეჩიტელების სოვეტში არის დანიშნული 26 მაისს, საღამოს 8 საათზედ, პირველი ტორგი იჯარით გასაცემად წმიდა სანთლის ვაჭრობისა სომეხთ ეკკლესიებზე და მრევლზედ.

მსურველს შეუძლიან წაკითხვა დაწვრილებით პირობებისა ამავ სემინარიის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირისა და უქმ დღეების გარდა, დილის 10 საათიდამ ვიდრე 12 საათამდინ. (3—1)

# ნახავთ

საზაფხულო ქუდებს, როგორიც გნებავთ გრიგოროვის მაღაზიაში. ფასები ზომიერი. (2—2)

ქუთაისში, პოლკოვნიკს რუბანთან ისყიდება პიანინო. (3—3)

# ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან

ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მეთოთხმეტე (XIV) ტირაჟში, რომელიც მოხდა ამა 1882 წლის მაისის 13-ს, გამოვიდა შემდეგი ნომრები ზემოხსენებულ ბანკის გირავნობის ფურცლებისა.

1). გირავნობის ფურცელნი 28 მაისის 1874 წლის ბანკის წესდების ძალით გამოცემულნი:

I სერიისა

18 წლისა და 7 თვის

ას (100) მანეთიანის ღირსებისა №№ ას მესამე (103), ორმოც-და-მეოთხე (44), მეშვიდე (7), ოთხმოც-და-მეორე (82) და მეოთხე (4)

II სერიისა

27½ წლისა

ათას (1000) მანეთიანის ღირსებისა №№ ას ოთხმოც-და-მეოთხე (184) და ოთხმოც-და-მესამე (83).

54½ წლისა

ას (100) მანეთიანის ღირსებისა № სამოც-და-მეთორმეტე (72).

III სერიისა.

27½ წლისა.

ათას (1000) მან. ღირსებისა № ოთხმოც-და-მეცხრე (89).
ას (100) მან. ღირსებისა № ორმოც-და-მეცხრე (49).

54½ წლისა.

ას (100) მან. ღირსებისა № სამოც-და-პირველი (61).

IV სერიისა

27½ წლისა.

ათას (1000) მან. ღირსებისა № ოც-და-მეათე (30).

V სერიისა.

27½ წლისა.

ხუთას (500) მან. ღირსებისა № ოც-და-მეხუთე (25).

54½ წლისა.

ას (100) მან. ღირსებისა №№ ას-სამოც-და-მეთორმეტე (172), ოთხმოც-და-მეექვსე (86) და სამოც-და-მეოთხე (64).

VI სერიისა.

27½ წლისა.

ხუთას (500) მან. ღირსებისა № მეხუთე (5).
ას (100) მან. ღირსებისა № მეათე (10).

43½ წლისა.

ას (100) მან. ღირსებისა № მეთორმეტე (12).

VII სერიისა.

43½ წლისა.

ას (100) მან. ღირსებისა № ას ოც-და-მეცხრამეტე (139).

VIII სერიისა.

27½ წლისა.

ხუთას (500) მან. ღირსებისა № ოც-და-მეექვსე (26).
ას (100) მან. ღირსებისა № სამოც-და-პირველი (61).

43½ წლისა.

ხუთას (500) მან. ღირსებისა № მეოთხმოცე (80).

XI სერიისა.

27 წლისა.

ას (100) მან. ღირსებისა №№ ორმოც-და-მეათე (50) და ოც-და-მ[ეჩ]ჩვიდმეტე (37).

43½ წლისა.

ხუთას (500) მან. ღირსებისა № სამოც-და-მეცამეტე (73).
ას (100) მან. ღირსებისა № ორას ოთხმოც-და-პირველი (281).

X სერიისა.

27½ წლისა.

ხუთას (500) მან. ღირსებისა № მეცხრე (9).
ას (100) მან. ღირსებისა №№ პირველ (1) და მეხუთე (5).

43½ წლისა.

ას (100) მან. ღირსებისა № მეცხრამეტე (19).

XI სერიისა.

27½ წლისა.

ხუთას (500) მან. ღირსებისა № მეხუთმეტე (15).
ა. (100) მან. ღირსებისა №№ მეოთხმოცე (80) და მეორე (2).

43½ წლისა.

ას (100) მან. ღირსებისა № სამოც-და-მეთექვსმეტე (76).

2). გირავნობის ფურცელნი 17 თებერვლის 1881 წლის წესდ[ების] ურთი-ერთ თავდებობის შემდეგ გამოცემულნი:

I სერიისა.

27½ წლისა.

ათას (1000) მანეთიან ღირსებისა №№ სამას-სამოც-და-მეცხრე (369), სამას-მერვე (308), ოც-და-მესამე (23), ას-ორმოც-და-მეთექვსმეტე (156) და ორას-ორმოც-და-მეთოთხმეტე (254).
ხუთას (500) მან. ღირსებისა № მეოცე (20).

43½ წლისა.

ათას (1000) მან. ღირსებისა №№ სამოც-და-მეცამეტე (73) და ორმოც-და-მეშვიდე (147).
ას (100) მან. ღირსებისა №№ სამოც-და-მეხუთე (65) და ორმოც-და-მეათე (50).

II სერიისა.

27½ წლისა.

ათას (1000) მან. ღირსებისა №№ სამას-ოთხმოც-და-მეთოთხმეტე (394), ორას-ორმოც-და-მეცხრე (249), ორას-ოც-და-მეექსე (226), მეთოთხმეტე (14), ხუთას-მეთორმეტე (512), ას-ოც-და-მეშვიდე (127), ხუთას-მეთუთხმეტე (515), ხუთას-მეცხრამეტე (519), სამას-ოთხმოც-და-მეთერთმეტე (391) და ას-სამოც-და-მეთოთხმეტე (174).
ხუთას (500) მან. ღირსებისა № სამოც-და-მეათე (70).
ას (100) მან. ღირსებისა № ორას-ოთხმოც-და-მეექვსე (286).

43½ წლისა.

ათას (1000) მან. ღირსებისა № ოც-და-მეთექვსმეტე (36) და ოც-და-მეათე (30).
ას (100) მან. ღირსებისა № მეექვსე (6).

III სერიისა.

27½ წლისა.

ას (100) მან. ღირსებისა №№ ოთხმოც-და-მეცხრამეტე (99), ორმოც-და-პირველი (41), მეოცე (20), სამოც-და-მეოთხე (64), სამოც-და-მეცამეტე (73) და ორმოც-და-მეცხრამეტე (59).

(1—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Мая 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხ[იშვილი]